603 ✓ 11861

ლელა

29.IV - 6.V 1994 წ. № 13 (10881) ● ფასი 20 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, მისი თანმხლები პირები და მასპინძლები ბ. პაიჭაძის სახელობის ერთვნულ სტადიონზე (ანგარიშს სამარანჩის ვიზიტის შესახებ „ლელის“ უახლოეს ნომერში შეიმოგთავაზებთ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრები — შეკლიერესთა შორის

მსოფლიო ჩოგბურთის თასის გათამაშება ქალთა ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული გუნდური შეჯიბრებაა. წლევანდელ ასპარეზობაში, რომელიც ავსტრიაში გაიმართა, 24 მონაწილეს შორის იყო საქართველოს ნაკრებიც ლელა მესხის, ნინო ლუარსაბიშვილისა და ირინე ბახტაძის შემადგენლობით. ჩვენს ჯგუფში გამოდიოდნენ ტუნისისა და უკრაინის გუნდები.

პირველი ორთაბრძოლა ქართულმა ტროიკამ „მშრალი“ ანგარიშით მოუგო ტუნისს 3:0. ჯგუფში წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და უკრაინის ჩოგბურთელთა შეხვედრას. ლელა მესხმა დამაჯერებლად მოუგო მსოფლიოს უძლიერესთა ოცეულის წევრს, უკრაინის გუნდის ლიდერს ნატალია მედვედევას. მესხმა ნინო ლუარსაბიშვილთან ერთად აჯობა უკრაინელთა დუეტს. ამ გამარჯვებამ გადაწყვიტა კიდეც



ბრძოლის ბედი უკრაინის საკმაოდ ძლიერ გუნდთან. ჩვენმა ჩოგბურთელებმა მერვედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

აქ საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო ზიმბაბვეს ნაკრები. ჩვენებმა ორთაბრძოლა ადვილად მოიგეს — 3:0. მეოთხედფინალში ქართველი გოგონები სლოვაკელ ჩოგბურთელებს შეხვდნენ, პრინციპული ბრძოლა ლელა მესხსა და სლოვაკელთა ლიდერს რადკა ზრუბაკოვას შორის ქართველმა ჩოგბურთელმა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ორი მომდევნო შეხვედრა ჩვენმა მეტოქეებმა მოიგეს და ამით საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს.

და მაინც, საქართველოს ნაკრებმა, სლოვაკიის გუნდთან ერთად გაისად უძლიერესთა ჯგუფში (ფინალურ ტურნირში) თამაშის უფლება მოიპოვა. ჩვენი სპორტის ბოლო დროს მოპოვებულ გამარჯვებათა შორის ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია, რასაც გულწრფელად ვულოცავთ ქართველ ჩოგბურთელებს.

სურათზე: ლელა მესხი.

მსოფლიო ჩემპიონი 66 წლის ასაკში

ახალგაზრდობაში ალექსანდრე (შურა) მაისურაძეს ასეთ წარმატებაზე მხოლოდ უოცნებია. 40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანის დასაწყისში საკმაოდ ცნობილი მოჭიდავე იყო, მაგრამ მაქსიმუმი, რასაც მიაღწია, საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს ჯილდო გახლდათ (1950 წელს მუსა ბაბაევისა და შალვა ნოზაძის შემდეგ) უმჩატეს წონაში. შურა მაისურაძე წარმოშობით ონიდანაა და ქართული ჭიდაობის ილეთებს ზედმიწევნით კარგად იყო დაუფლებული. ეს ცოდნა მას დიდად გამოადგა შემდგომში საკავშირო ტურნირებში...

ამ ცოტა ხნის წინ რომში გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც მოჰყვა შეტად საინტერესო ასპარეზობა ვეტერანთა შორის. და აი იქ, 66 წლის ვეტერანმა ალექსანდრე მაისურაძემ 58 კგ წონითს კატეგორიაში ყველა მეტოქე დამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.

...მაისურაძემ აქტიურ სპორტს რომ თავი მიანება, ახალგაზრდების აღზრდას მიჰყო ხელი და აქაც საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია: ხალიჩის მრავალ ოსტატთან ერთად აღზარდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი (უფრო სწორად მისი პირველი მწვრთნელი იყო). ასე რომ, ქართველ ფალავანთა წარმატებების მატიანეში ახალი თავფურცელი ჩაიწერა და ათვლაც უმაღლესი ხარისხის ჯილდოთი დაიწო.

დაჯილდოება

ძიუდოს განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გურამ პაპიტაშვილი** საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სიგელით და სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდა.

აზმაიფარაშვილი ლიდერთა ჯგუფში

ვოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი სწრაფჭადრაკში. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ინდოელმა ვიშთვანათხან ანანდმა დამარცხა ვლადიმერ კრამნიკი და პირველი ადგილი დაიკავა. საინტერესო [illegible] ოლს, რომ მსოფლიოს ჩემპიონ[illegible] ასპაროვმა ამჯერად ვერ გა[illegible] თავი. ტურნირში მოასპარეზე ზურაბ აზმაიფარაშვილი 16 უძლიერესში მოხვდა, რაც თავისთავად დიდი წარმატებაა ქართველი მოჭადრაკისთვის.

ულოცავენ

საქართველოს რესპუბლიკის მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ დაბადებიდან 60 და სპორტული მოღვაწეობის 40 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის თვალსაჩინო მოღვაწეს, ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებელს **გურამ პაპიტაშვილს** და უსურვებს დღეგრძელ სიცოცხლეს.

* * *

თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სპორტული სკოლა და ტანვარჯიშის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელსა და მწვრთნელს **გივი გაბიტაშვილს.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის უოფილი თავმჯდომარე, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტის ზელშემწყობი ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

ნუგზარ შალვას ძე ენდელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა ნუგზარ ენდელაძის დამკრძალავი კომისია: ბეჟან ხურციძე (თავმჯდომარე), თენგიზ გაზდელიანი, კახი ასათიანი, შალვა ობგაიძე, ომარ გოგიაშვილი, ირაკლი კიზირია, თენგიზ გაჩიჩილაძე.

ნ. ენდელაძის დამკრძალავი კომისიისაგან

პანაშვიდი 1, 2 მაისს 16 საათზე განსვენებულის ბინაზე (ყიფშიძის, 16). სამოქალაქო პანაშვიდი 3 მაისს 12 საათზე სპორტის დეპარტამენტის შენობაში (ჭავჭავაძის, 49). გამოსვენება 14 საათზე. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა ლიგა

მაუ ასე. ფინალში: „ბარსელონა“ — „მილანი“

გამოვლინდნენ 1994 წლის ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდები. იტალიის „მილანმა“ ანგარიშით 3-0 დაამარცხა საფრანგეთის „მონაკო“, ხოლო ესპანეთის „ბარსელონამ“, ასევე შინ და ასეთივე ანგარიშით მოუგო პორტუგალიის „პორტუს“.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან **„ბარსელონა“** და **„მილანი“**. ეს მატჩი 18 ივნისს გაიმართება ათენში.

„ინტერის“ პირველი გამარჯვება

ვენაში გაიმართა უეფას თასის პირველი ფინალური მატჩი ავსტრიის „კაზინოსა“ (ზალცბურგი) და მილანის „ინტერს“ (იტალია) შორის. თამაში გამართა „პრატერის“ სტადიონზე, მას 45 ათასი მაყურებელი დაესწრო. უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა — იტალიელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 1-0. აღსანიშნავია, რომ დანიელი მსაჯი კ. ნილსენი იძულებული იყო უხეშობისათვის 48-ე წუთზე მინდვრიდან გაეძევებინა „ინტერის“ ნახევარმცველი ა. ბიანკი.

ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა 11 მაისს შედგება მილანის „სან-სიროს“ სტადიონზე.

ინფორმაცია

როგორც ნბა-ს შტაბ-ბინიდან იტყობინებიან, მორიგი „დრაფტი-94“ გაიმართება 29 ივნისს ინდიანაპოლისის „ჰუზიე დოუმში“. ცნობილია, რომ 1979 წლიდან მოყოლებული ახალბედა კალათბურთელების შერჩევა ტრადიციულად ნიუიორკში ეწყობოდა — წესი დაირღვა მხოლოდ სამჯერ: 1992 წელს დრაფტი ჩატარდა პორტლენდში, შარშან კი მიჩიგანის შტატის ქალაქ ობრუნ-ჰილსში. ამ უკანასკნელ შერჩევას 15.324 მაყურებელი დაესწრო.

ნბა-ს კომისრის დევიდ სტერნის განცხადებით, დრაფტის სხვადასხვა ქალაქში ჩატარების იდეა განაპირობა მაყურებლების დაინტერესებამ. კალათბურთის მოყვარულებს გაუჩნდათ სურვილი არბოობის (ყიდვა-გაყიდვის) პროცესი უშუალოდ დარბაზში იხილონ (და არა ტელევიზიით). ინდიანაპოლისის დრაფტს სპეციალისტთა ვარაუდით 20-ათასიანი აუდიტორია ეყოლება.

ჰოლიფილდმა დათმო გვირგვინი

ბოლო ორმა წელიწადმა ევანდერ ჰოლიფილდის ცხოვრებაში კინემატოგრაფიის სისწრაფით ჩაიქროლა. მას შემდეგ, რაც პროფესიული კრივის უმაღლეს მწვერვალზე შედგა ფეხი, მშვიდი და უდარდელი ცხოვრება არა ჰქონია. 1992 წლის ნოემბერში მაშინ ჯერ კიდევ უცნობ რიდიკ ბოუსთან დრამატულ ორთაბრძოლაში დაკარგა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სუპერმძიმე წონაში. ბოუმ მსოფლიო კრივის სადავეები იგდო ხელთ ერთბაშად ორი ვერსიით (კრივის მსოფლიო ასოციაცია და კრივის საერთაშორისო ფედერაცია). ახალგამომცხვარ ჩემპიონს სრული ბედნიერებისთვის მესამე ვერსიით აღიარებაც სჭირდებოდა, მაგრამ...

გადაყენებულმა გვირგვინოსანმა ამდენი არ აცალა ბოუს. 1993 წლის 7 ნოემბერს ლას-ვეგასში, სასტუმრო „ცეზარ-პალასის“ ღია რინგზე, 16 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, ევანდერ ჰოლიფილდმა დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული 12-რაუნდიან ბრძოლაში, თუმცა, როგორც მაშინ სპეციალისტები ამბობდნენ, დამაჯერებელი გამარჯვების მიუხედავად. ჰოლიფილდის ტახტზე ყოფნას, ასაკის გამო, დიდი დრო არ ეწერა. ეს წინასწარმეტყველება ამ დღეებში ახდა...

ისევ ის ლას-ვეგასი, ნაცნობი სასტუმროს რინგი, უამრავი მაყურებელი, კამერებმომართული ტელეოპერატორები, ათასობით ჟურნალისტი, ერთი სიტყვით, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის გამართული ბრძოლის ყველა ნიუანსი — 32 წლის ევანდერ ჰოლიფილდი და მასზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა ტახტის მაძიებელი მაიკლ მორერა. ამ შეხვედრაში იყო ყველაფერი, რაც დამახასიათებელია უმაღლესი დონის კრივისთვის, პრეტენდენტი ერთხელ ნოკდაუნშიც კი აღმოჩნდა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც ასაკმა თქვა და ევანდერ ჰოლიფილდს 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ მოუხდა გვირგვინის დათმობა.

როგორც მატჩისშემდგომმა გამოკვლევამ ცხადყო ჰოლიფილდი გულის მანკით უოფილა დაავადებული. ექიმები გაოცებული დარჩნენ როგორ გაუძლო მოკრივემ 12-რაუნდიან დატვირთვას.

ტურნირის ექო

მაკნე ტენდენცია

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ახლახან დამთავრებულმა ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველო ჭიდაობის ამ სახეობაში საოცარი თანმიმდევრობითა და მეთოდურობით თმობს პოზიციებს ყველა დონეზე. ამ უხიამოვნო მოვლენას, ცხადია, აქვს მიზეზები, ზოგი სუბიექტური ხასიათის, ზოგიც ობიექტური, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია ქართველ მოჭიდავეთა წარმატებებით განებივრებული „მრევლისთვის“, რომელიც, ბუნებრივია, მისი საყვარელი ფალავნებისგან ახალ-ახალ წარმატებებს მოელის.

სხვათა შორის, უკანსკვლის ტენდენცია თვალნათლივ შეიძლება დავინახოთ თუნდაც ბოლო ერთი სეზონის მაგალითზე, რომელიც ევროპის შარშანდელ და წლევანდელ ჩემპიონატებს შორის სულ რაღაც 11-თვიან პერიოდს მოიცავს. შარშან სტამბულში, ანალოგიურ ტურნირზე, შვიდი ქართველი ოსტატი ასპარეზობდა, რომელთაგან ერთმა (ზაზა ზოზიროვი) ოქროს, ერთმა კი (ელდარ კურტანიძე) ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. წლეულს ჩვენი გუნდი (თუ შეიძლება მას გუნდი ეწოდოს მონაწილეთა სიმცირის გამო) სულ ოთხი მოჭიდავით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან საუკეთესო შედეგი შარშანდელმა ვერცხლის მედალოსანმა კურტანიძემ აჩვენა — VI ადგილი (ადრე გავრცელებული ცნობით შეცდომით იყო მითითებული IV ადგილი). მძიმეწონოსანმა ლევან ებანოიძემ მეშვიდე-მერვე ადგილები გაიყო, დავით პოღოსიანი და ჯონდო მოდოსიანი კი ტურნირს ორი წრის შემდეგ „გამოეთიშნენ.

ჭიდაობის პრობლემებზე საუბრის დროს ვიცით, რომ ბევრ ობიექტურ მიზეზს ჩამოგვითვლიან. ისიც ვიცით, რომ ამ მიზეზთა დიდი ნაწილი ქვეყანაში შექმნილი ურთულესი ეკონომიკური პირობებით არის გამოწვეული. მაგრამ დიდად დალინებული ცხოვრება არც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს აქვთ, რომლებიც ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად პოზიციების შენარჩუნებას, ასე თუ ისე, ახერხებენ, სომხეთმა კი, რომელიც რა დასამალია, ზოგიერთ სფეროში ჩვენზე უარეს მდგომარეობაშიც არის, საოცარი ნახტომი გააკეთა წინ: ორი ოქროს, ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაისაკუთრა. გადახედეთ ევროპის ჩემპიონატების ისტორიას: ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ასეთი შედეგები არასდროს ჰქონიათ... და ყველაფერ ამას სომხეთის მოჭიდავეებმა მიაღწიეს ურთულეს პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ასე რომ, ყველაფერს მხოლოდ გარეშე ფაქტორებს ვერ დავაბრალებთ. ზოგი მიზეზი ჩვენს შორის უნდა ვეძებოთ.

ახლა, ტრადიციის თანახმად გთავაზობთ პრიზიორთა სამეულებს:

ევროპის XVII ჩემპიონატი. 1994 წლის 8–10 აპრილი, რომი. მონაწილეობდა 30 ქვეყნის 150 მოჭიდავე.

48 კგ: 1. ა. მკრტჩიანი (სომხეთი), 2. რ. სიუგაბელი (გერმანია), 3. ვ. ევტეევი (უკრაინა).

52 კგ: 1. ნ. აბდულაევი (აზერბაიჯანი), 2. ი. ზონოვი (ბულგარეთი), 3. ს. ზამბალოვი (რუსეთი).

57 კგ: 1. ა. სააკიანი (სომხეთი), 2. ბ. უმახანოვი (რუსეთი); 3. ა. ფიოდოროვი (უკრაინა).

62 კგ: 1. მ. დემირეჯევი (თურქეთი), 2. ა. ბაღდასარიანი (სომხეთი), 3. ჯ. შილაჩი (იტალია)... დავით პოღოსიანი (საქართველო) ორი წრის შემდეგ გამოეთიშა ტურნირს.

68 კგ: 1. ვ. ბოგიევი (რუსეთი), 2. ა. გევორქიანი (სომხეთი), 3. რ. მატროვიჩი (უკრაინა).

74 კგ: 1. ნ. გაჯიხანოვი (რუსეთი), 2. ტ. გეილანი (თურქეთი), 3. ა. ლეიპოლდი (გერმანია).

82 კგ: 1. რ. ქელეხსაევი (რუსეთი), 2. ლ. ჟაბრაილოვი (მოლდოვა), 3. ჰ. შტოტნერი (გერმანია)... ჯონდო მოდოსიანი (საქართველო) ორი წრის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას.

90 კგ: 1. ს. ფრაევი (რუსეთი), 2. ვ. მატუშენკო (ბელარუსი), 3. ი. ლაუნა (სლოვაკეთი).... 6. ელდარ კურტანიძე (საქართველო).

100 კგ: 1. მ. გარმულევიჩი (პოლონეთი), 2. ჰ. ბალსი (გერმანია), 3. ა. ქეიალი (თურქეთი).

130 კგ: 1. მ. ვალიევი (უკრაინა), 2. მ. დემირი (თურქეთი), 3. ა. შუმილინი (რუსეთი)... ლევან ებანოიძე (საქართველო) — VII-VIII ადგილი.

ევროპის შარშანდელ ჩემპიონატთან უბრალო პარალელის გავლებაც კი საკმარისია იმის შესამჩნევად, რომ ამ ერთი წლის მანძილზე პრიზიორთა რიგების სრული „როტაცია“ მოხდა. შარშანდელი 30 მედალოსნიდან წლეულს სამეულებში ადგილი მხოლოდ ხუთმა მოჭიდავემ შეინარჩუნა. ესენი არიან: აირიკ გევორქიანი (შარშან და წლეულსაც „ვერცხლი“), რუსტამ ქელეხსაევი (შარშანაც და წლეულსაც) „ოქრო“), ალი ქეიალი (შარშანაც და წლეულსაც „ბრინჯაო“), მერაბ ვალიევი (შარშან — „ვერცხლი“, წლეულს— „ოქრო“) და მამუდ დემირი (შარშან — „ოქრო“, წლეულს — „ვერცხლი“). სხვათა შორის, ეროვნული ნაკრებ გუნდების შემადგენლობათა ასეთი ტოტალური ცვლა („როტაციის“ მიზეზი კი სწორედ ეს გახლავთ) დამახასიათებელია ოლიმპიადებშუა სეზონისთვის, ვინაიდან სწორედ ამ დროს ხდება თაობათა ცვლა და ტალანტების ძიება.

ამ ცხრილიდან ჩანს თუ როგორ განაწილდა მედლები ქვეყნებს შორის

	ო.	ვ.	ბ.
რუსეთი	4	1	2
სომხეთი	2	2	—
თურქეთი	1	2	1
უკრაინა	1	—	3
აზერბაიჯანი	1	—	—
პოლონეთი	1	—	—
გერმანია	—	2	2
ბულგარეთი	—	1	—
ბელარუსი	—	1	—
მოლდოვა	—	1	—
იტალია	—	—	1
სლოვაკია	—	—	1

ნუგზარ ენდელაძე



კიდევ ერთი ტკივილი — მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი სპორტსმენი და ხაზოგადო პიროვნება, ახლო წარსულში საქართველოს სპორტული მოძრაობის უნარიანი წინამძღოლი ნუგზარ შალვას ძე ენდელაძე.

მთელი მისი ბიოგრაფია ხალხისა და ქვეყნის უმწიკვლო ხამსახურითაა დალდასმული. ბავშვობიდან გამოიარა ცხოვრებისეული წრთობის ქურა, ქარხნის მუშების გვერდით დაიწყო მისი შრომითი საქმიანობა, ბევრი რამ ისწავლა მათგან, შემდგომში კი კომკავშირულ თუ პარტიულ სამუშაოზე ადვილად იკვლევდა გზას ხალხის გულებისკენ, ამიტომ მიაგებდნენ ეხოლენ მაღალ პატივს, სადაც კი უმუშავნია, ორგანიზატორული ხიქმიანობის განახლება-სრულყოფის, ახლის ძიებისა და თამამად დამკვიდრების შესანიშნავ უნარს ავლენდა. განსაკუთრებით გამობრწყინდა მისი, როგორც ხელმძღვანელის ნიჭი ხაქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში. თავად წარსულში გამოჩენილმა სპორტსმენმა ქართული სპორტის მართვის და განვითარების თვისებრივად ახალი სისტემა დაამკვიდრა, ამ ერთ დიდ და სრულყოფილ მექანიზმში ყველას შესაფერისი ადგილი და ფუნქცია ჰქონდა მიჩენილი, რათა თითოეულს მაქსიმალურად გამოევლინა თავისი შესაძლებლობები. საქართველოს სპორტსმენებმა იმ წლებში არნახულ წარმატებებს მიაღწიეს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ხარბიელზე, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. გრძნობდა რა ქვეყნის განახლების აუცილებლობას და გარდუვალობას, დაჟინებით მოითხოვდა ქართულ სპორტულ მოძრაობას ბზარი არ გახჩენოდა, დამოუკიდებელ საქართველოში არა დაჩაჩანაკებული, არამედ უფრო ძლიერი ქართული სპორტით უნდა შევიდეთო — ყოველდღიურად ახსენებდა ეროვნული სპორტის მესვეურებს. სამწუხაროდ, რთულ დროს მოუხდა მისივე უნარიანი თავკაცობით აღზევებულ ქართულ სპორტს დამანგრეველ ტალღასთან შეჯახება.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, ბ. ხურცილაძე, ი. მენაღარიშვილი, ნ. ლეკიშვილი, ვ. ლოლთიფანიძე, კ. ასათიანი, ჯ. ბაბრატიონი, თ. ბაზდელიანი, ნ. ბაფრინდაშვილი, თ. ბაჩეჩილაძე, ა. გოგელია, ნ. გოგიაშვილი, დ. კავთელაშვილი, ი. კიზირია, დ. კილასონია, შ. ოგბაიძე, მ. ომანიძე, ზ. სიხარულიძე, თ. შარაშენიძე.

SOS

მსხვერპლი... სპორტული მოედნები

თბილისის საცხოვრებელ მიკრორაიონებში ხათამაშო სპორტული მოედნები კვლავ ბარბაროსულად ნადგურდება, მოსახლეობა აფართოებს ლოჯებს, თვითნებურად დგამს გარაჟებს. ვარკეთილის პირველი მიკრორაიონის 25-ე კორპუსთან მდებარე სპორტული მოედანი, რომელიც თავისუფალ დროს ახობით მოზარდის გართობისა და ფიზიკური წრთობის სარბიელი იყო, მოსახლეობამ დაარბია, დაიწყეს გარაჟების მშენებლობა, გაანადგურეს მწვანე მარგავები, მათ შორის, მრავალწლიანი ხეები. რედაქცია თხოვს ახნის რაიონის გამგებლობას, პოლიციის განყოფილებას, სახლმმართველობას შეაჩერონ მოძალადეები, გატარებული ზომების შესახებ კი გვაცნობონ. ურიგო არ იქნებოდა თბილისის მერია ყოველკვირეულ სამუშაო თათბირზე ასეთი მავნე ფაქტების აღკვეთის საკითხსაც თუ შეიტანდა დღის წესრიგში. დაუხჯელობის სინდრომს ნუ ვაზეიმებთ!

ჩვენს ფეხბურთში რომ ასეთი კონკურსი ჩაეტარებინათ, იგი, ალბათ, უყოყმანოდ ერგებოდა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ელგუჯა გუგუშვილს. ეს სულაც არ გახლავთ რაღაც გაზვიადებული განცხადება და ამაში დაგვერწმუნება ყველა, ვინც ამას წინათ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ახლად აგებულ დარბაზში თვალს ადევნებდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა პირველი ჩემპიონატის შეხვედრებს მინიფეხბურთში. აქ ე. გუგუშვილის გუნდი „კრწანისი-ზოოვეტი“ მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგა და ტურნირის დამთავრებამდე გაინაღდა უძლიერესის სახელი. გუნდმა ექვსივე მატჩი მოიგო ბურთების დიდი უპირატესობით 26-3. საყურადღებო ისიც იყო, რომ მომავალი ზოოტექნიკოსები ამ შეჯიბრებაზე თავს ისე დაჯერებულად გრძნობდნენ, რომ წარმატებას იოლად მიაღწიეს, რამაც მათი სრული ტრიუმფი განაპირობა.

● საიდან ასეთი ოსტატობა და გამოცდილება, რომელიც თქვენმა გუნდმა ასპარეზობის დღეებში გამოავლინა? რამდენადაც ვიცით, ზოოვეტელებს ადრე ასე არ უსახელებიათ თავი. ამ კითხვით მივმართე მწვრთნელს.

— იცით, რამდენიმე წლის წინ, ადრინდელ საკავშირო პირველობის გამარჯვებულებიც კი ვართ სტუდენტთა შორის. უნდა წავსულიყავით მსოფლიო პირველობაზეც, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო ეს არ მოხდა.

● ამჯერად პირველობამ მსგავსი უფლება თუ შეგძინათ?

— რა თქმა უნდა, სექტემბერში მსოფლიოს სტუდენტთა 24 ნაკრები, რომელთა შორის ჩვენც ვიქნებით, თავს მოიყრის კუნძულ კვიპროსზე და გაითამაშებენ უძლიერესის სახელს. პრეტენდენტთა შორის იქნებიან წინა ჩემპიონატის გამარჯვებული ბრაზილიის გუნდი, აგრეთვე, მსოფლიო საფეხბურთო ელიტის წარმომადგენლები გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, იუგოსლავიისა და სხვა სახელმწიფოთა ნაკრებები.

● თქვენ ჩამოთვალეთ ქვეყნები და არა კლუბები...

— დიახ, კვიპროსში ნაკრებები იქნებიან, ჩვენც საქართველოს და არა კლუბის სახელით გამოვალთ. ეს საშუალებას გვაძლევს სხვა მოთამაშეებით გავაძლიეროთ ჩვენი გუნდი.

● ვის შეხვდებით ასპარეზობის საწყის ეტაპზე?

— ეს გაირკვევა 20 მაისს ბრიუსელში, სადაც გაიმართება ჩემპიონატის წილისყრა.

● როგორც ცნობილია, თქვენ შოთა ჭეიშვილთან და ვახტანგ კოპალეიშვილთან ერთად ხათავეში უდგახართ საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს, რომელსაც ატლანტის თამაშების საგზურისთვის მოუწევს ბრძოლა, როგორ ემზადებით მომავალი შეხვედრებისთვის?

— უნდა დავაზუსტო, რომ ოლიმპიურ საგზურთან ერთად ევროპის თანატოლთა ჩემპიონატის შერჩევით ტურნირშიც მოუწევს ამ გუნდს ბრძოლა. აქ ჩვენ იგივე მეტოქეები გვერგო, რაც ეროვნულ ნაკრებს, თითქმის იგივეა შეხვედრათა ვადებიც, მხოლოდ ერთი დღით ადრე ვითამაშებთ იმავე ქვეყნების გუნდებთან და ფინალში გასასვლელად ჩვენს მთავარ მეტოქეებად იგივე გერმანელებსა და ბულგარელებს მივიჩნევთ.

● რას იტყვით უშუალოდ გუნდის შესახებ?

— გუნდში თავი მოიყარეს 19-20 წლის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, რომლებიც „დინამოში“, „ტორპედოში“, „მეტალურგში“, „გურიაში“, „ზოოვეტ-კრწანისში“, „თეთრ არწივსა“ და „ანცში“ ირიცხებიან. სხვადასხვა ტურნირში გავსინჯეთ 40-მდე ფეხბურთელი, რომელთაგან შევარჩიეთ საუკეთესონი. იმედის თვალით ვუყურებთ გუნდის მომავალს, ოლიმპიელებმა 6 თამაშიდან ხუთი მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს.

როგორც ვთქვი, გვყავს რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი, მაგრამ ნაკრების ბედი თითო-ოროლა კარგ ფეხბურთელზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. წარმატება ერთიანად მოაზროვნე გუნდს მოაქვს და ჩვენი მუშაობაც სწორედ აქეთკენაა მიმართული.

დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე საკონტროლო მატჩი საზღვარგარეთის ოლიმპიურ გუნდებთან. ივლისი და აგვისტო იქნება მზადების გადამწყვეტი ეტაპი. ვეცდებით სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ ევროპის შერჩევითი ტურნირის 6 სექტემბრის მატჩს მოლდაველ მეტოქეებთან.

● როგორ მართავს გუნდს მწვრთნელთა სამეული?

— ტრიუმვირატი შეთანხმებულად და ერთსულოვანი განწყობილებით მოქმედებს. ეს კი ერთ-ერთი მთავარი პირობაა გუნდის შესადეგობებლად.

ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.

კვირის კაცი

არც მათ ულხინთ

ვინ დაიჯერებს, რომ ამ გაჭირვებულ ჟამს რაიონულმა სპორტკომიტეტმა რაიმე შეჯიბრება, თუნდაც ძალზე ლოკალური მასშტაბის ამანათრბენი მოაწყო საკუთარი ძალებით და სახსრებით. მისი შესაძლებლობანი აშკარად ვერ გასწვდება ამ მცირე ასპარეზობასაც კი, მაგრამ საბურთალოს რაიონის სპორტკომიტეტს მხარში ამოუდგა იქაური გამგეობა, რომლის ძალისხმევითაც ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ საზაფხულო სპორტული სეზონის დაწყებისადმი მიძღვნილი ამანათრბენი კარგად ჩატარებულიყო.

— თავიდან ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა ჩვენს გადაწყვეტილებას, — თქვა რაიონის გამგებლის მოადგილემ ბ-ნმა თამაზ კალმახელიძემ, — რამაც უფრო წაგვაქეზა და საწადელს მაინც მივაღწიეთ...

გარბენი, რომელიც ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მოეწყო, 10 ეტაპისგან შედგებოდა (8 ჭაბუკთა და 2 გოგონათა) და მასში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებიც მონაწილეობდნენ. 200-ზე მეტი მორბენალი დადგა სტარტზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში 64-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა აჯობეს ყველას. მეორე ჯგუფში გაიმარჯვა საფინანსო-ეკონომიკურმა კოლეჯმა, მესამეში— ლიცეუმმა.

ასპარეზობა იმითაცაა დასამახსოვრებელი, რომ უამრავი პრიზი იყო დაწესებული, მათ შორის სამხედრო კომისარიატისაც. იგი, საუკეთესო მებრძოლს, ლიცეუმელ წვევამდელს ზვიად ჩხაიძეს ერგო.

როგორც ყოველთვის, ამანათრბენს კარგად მოემსახურა პოლიცია, რომელმაც სარბენ ტრასაზე სრული წესრიგი უზრუნველჰყო.

საქართველოს თასი

22-23 აპრილი, ეროვნული თასის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები.

„დინამო“ (თბილისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-0.

„მეტალურგი“ (რუსთავი)—„დინამო“ (ბათუმი) 2-0 (ძირითადი დრო — 1-0). მსაჯები: მ. მალაღურაძე, ა. შოლაკაძე (ორივე — თბილისი), თ. მაჭარაძე (ხონი).

„მეტალურგი“: გრიშიკაშვილი, მელაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, გ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, ღუდუშაური, გახოკიძე (თ. მეტრეველი), ალადაშვილი;

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ფუტკარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ვ. მახარაძე (ყულეჯიშვილი), ტუღუში, კანტიძე.

გააფრთხილეს: ყულეჯიშვილი, ფუტკარაძე, ალადაშვილი, გ. კილასონია.

გოლები: ბურნაძე, ალადაშვილი. ამბიძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

დაახლოებით 10 ათასი მაყურებელი დაძაბული ბრძოლის მოწმე გახდა. მატჩის პირველმა ნახევარმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, მეორეში მასპინძლებმა უმატეს ტემპს და საწადელსაც მიაღწიეს: ბათუმელთა საჯარიმო მოედანზე გასული გ. კილასონია აშკარად „მოცეცეს“, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. შეკარე ბალაძემ ამბიძის დარტყმული ბურთი მოიგერია, მაგრამ, როცა აღტაცებულ ბათუმელ ფეხბურთელებს ეგონათ ხიფათმა გადაიარაო, მეკარის მიერ მოგერიებული ბურთი მიიღო ბურნაძემ და გოლიც გაიტანა. ამის შემდეგ სიტუაცია უფრო დაიძაბა. ორივე გუნდის თავდამსხმელებს ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ შესანიშნავად ითამაშეს მეკარეებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდა გრიშიკაშვილმა.

1-0 მასპინძელთა სასარგებლოდ, ასე დამთავრდა მატჩის ძირითადი დრო და რახან პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაშიც ასეთივე ანგარიში იყო, დაინიშნა დამატებითი დრო. საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე ოსტატურად ითამაშა ალადაშვილმა, რომლის ზუსტმა დარტყმამ „ადაწყვიტა ნახევარფინალის ბედი. 26 მაისს ეროვნული თასის მეოთხე გათამაშების ფინალში ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“ შეხვდებიან.

ბევრაშვილი სულაქველიძის ოდენობით

მივლინება საფეხბურთო კლუბებში

თუ ახალციხის „მესხეთის“ ფეხბურთელთა გუნდის თამაშის ნახვის საშუალება მოგეცათ, დააკვირდით მარჯვენა მცველს ვეფხია ბექაურს. იგი ჩვენი გამოჩენილი ვეტერანის თენგიზ სულაქველიძის ორეულია, გასაოცრად ჰგავს გარეგნობითაც, თამაშის მანერითაც...

მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობას დაადგა, ახალციხელთა კლუბი თავისი ხელწერის ძიებაშია. კარგა ხანია საქართველოს უძველეს მიწაზე ხეირიანი გუნდის შექმნაზე ოცნებობენ, შარშან შემოდგომით პირველი ნაბიჯიც გადადგეს ამ მიზნის მისაღწევად: გუნდს გამოცდილი ანზორ გძელიძე ჩაუყენეს სათავეში, მან, თავის მხრივ, რამდენიმე ფეხბურთელი მიიწვია გალის „მზიურიდან“ (ქანთარია, ღურწკაია, კვეკვესკირი, ყოლბაია, ქურთუა), მკვეთრად გაზარდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, ამაღლდა ვარჯიშების ინტენსიურობა და შედეგმაც არ დააყოვნა: „მესხეთი“ ლიდერთა შორის დამკვიდრდა.

ახალციხელ გულშემატკივართა ხიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც რაიონის გამგებლად ნუგზარ სარჯველაძე დანიშნეს, ვინაიდან იგი იმ ცნობილი ნიკიფორე სარჯველაძის შვილია, ვინც 60-იანი წლების დასასრულს აწყურის საბჭოთა მეურნეობას საუკეთესო სტადიონი აუშენა. მართლაც, ახალ გამგებელს სპორტისადმი სიყვარული მემკვიდრეობით გადმოსცემია. რაიონში ყოფნისას გაკვირვებული დავრჩით ამ საყოველთაო აშლილობისა და სიღუხჭირის დროს როგორ ახერხებენ გამონახონ საჭირო სახსრები მძლეოსანთა, ძალოსანთა, მოკრივეთა, მოჭადრაკეთა და სხვა სახეობათა განვითარებისთვის.

დავინტერესდით ბავშვთა ფეხბურთით და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თხოვნა გადავეცით მესხეთის რეგიონის ზონალური პირველობის გამართვის თაობაზე. ნ. სარჯველაძემ მზადყოფნა გამოთქვა ხელი შეუწყოს ამ შეჯიბრების ახალციხეში გამართვას.

დამშვიდობებისას რაიონის გამგებელმა გვთხოვა პრესაში წამოგვწია ერთი პრობლემა, რომელიც მთელი მესხეთის რეგიონს აწუხებს: ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შესაჩერებლად ახალციხეს აუცილებლად უნდა ჰყავდეს გუნდი პირველ ჯგუფში, ეს პოლიტიკური საკითხიც არისო.

ახალციხეში ყოფნისას საშუალება მქონდა ერგასწრებოდი „მესხეთისა“ და ახმეტის „ბახტრიონის“ კალენდარულ მატჩს, რომელიც მასპინძლებმა დიდი ანგარიშით მოიგეს. ყველაზე თავგამოდებით „მესხეთს“ რაიონის გამგებელი გულშემატკივრობდა (როგორც გავიგე, მისი უშუალო დახმარებით და ხელშეწყობით გუნდისთვის აწყურის სტადიონზე უმოკლეს ვადაში მოხერხდა სპორტული ბაზის, სასტუმროს, სასადილოს, აბანოს მოწყობა). ამის შემხედვარე ახმეტელი ფეხბურთელები კეთილი შურით აღივსენ — ჩვენ რომ ასეთი გამგებელი გვყავდეს, რა გვიჭირსო. მათი განცხადებით, ახმეტის რაიონს ამჟამად პარლამენტის წევრი გიორგი ახმეტელი თავკაცობს, რომელიც აშკარა გულგრილობას იჩენს „ბახტრიონისადმი“ და დაშლით ემუქრება გუნდს. ბიჭები ეროვნული ჩემპიონატის გასვლით მატჩებზე ნახევრად მშივრები ჩამოდიან და, მიუხედავად ამისა, ურიგო შედეგებს არ აღწევენ. — უზელფასოდ, უქმელი ვივლით და „ბახტრიონს“ არ დავშლითო. — ამბობენ, რაიონში ერთადერთი გასართობი ფეხბურთი დარჩაო, სხვა — თეატრი, კინო, არ არსებობს, ტელევიზიებსაც ვერ ვუყურებთო, ამიტომაც ადგილობრივი ახალგაზრდობა გარბის რაიონიდან, ვინც კი დარჩა, უსაქმურობასა და ბოროტებას მიეძალარ...

ორი რაიონი — ორი თავკაცი, საქმისადმი ორნაირი მიდგომა, ორი შედეგი...

ჯემალ ჭიკაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ.
ახალციხე-ახმეტა.

ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

რუმინეთი

რუმინეთის ნაკრებს, რა თქმა უნდა, არავინ მიაკუთვნებს მსოფლიო პირველობის ფავორიტთა რიცხვს, მაგრამ ეს ფიზიკურად საუკეთესოდ მომზადებული, შეუპოვარი და ტექნიკური გუნდი ბევრისთვის ძნელად გადასალახავი „ჯებირი“ უნდა გახდეს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ მოგვიხდება, საამისოდ რუმინელების წინა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის გახსენებაც საკმარისი იქნება.

ფეხბურთი რუმინეთში მეტად პოპულარულია. ამ ქვეყნის ფეხბურთის კავშირი („ფედერატია რომანა დე ფუტბოლ“) დაარსდა 1908 წელს, შტაბბინა ბუქარესტში აქვს. ფიფას წევრი 1930 წელს გახდა, ხოლო უეფას წევრი — 1955 წელს. ქვეყანაში 5.500 კლუბია, 124 მცხოვრებზე 1 ფეხბურთელი მოდის, 126 ათასი მოყვარული ფეხბურთელია, სულ ჰაბუკების ჩათვლით კი — 181 ათასი.

ნაკრები უმთავრესად თამაშობს ბუქარესტის „23 აგვისტოს სტადიონზე“ (იტევს 95 ათას მაყურებელს, აქედან 75 ათასი დასაჯდომი ადგილია), ზოგჯერ, ბუქარესტის „რესპუბლიკის სტადიონზეც“ (35 ათასი). რუმინელთა მიღწევად მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში არაერთგზის გამოსვლის გარდა ითვლება ევროპის 1960 წლის ჩემპიონატის (მაშინ თასის გათამაშება ერქვა) მეოთხედფინალში გასვლა, აგრეთვე ბალკანეთის თასის ოთხგზის (1931, 1933, 1936 და 1980 წლებში) მოპოვება.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს წინა ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფში რუმინელებმა პირველივე მატჩში ანგარიშით 2-0 დაამარცხეს საბჭოთა კავშირის ნაკრები, მართალია, მეორე წააგეს (1-2) კამერუნელებთან, მაგრამ მესამე შეხვედრა ფრედ (1-1) დაამთავრეს მსოფლიო ჩემპიონებთან — არგენტინელებთან და მერვედფინალში გავიდნენ. აქ არლანდიელებთან ძირითად დროში ფრეს (0-0) შემდეგ საბოლოო ანგარიშით რუმინელებმა დათმეს თერთმეტმეტრიანების სერიით (4-5), საერთოდ კი საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

ოთხი წელიწადი ფეხბურთში არც ისე დიდი დროა და ახლანდელ ნაკრებს წინა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან საკმაოდ დიდი ჯგუფი შემორჩა. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, არის საგრძნობი ცვლილებებიც.

მწვრთნელ ანგელ იორდანესკუს დიდ დამსახურებად ეთვლება უკვე ის გარემოება, რომ მან თავის გუნდს მეტად ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში ფინალის საგზური მოუპოვა. ახლა მომდინარეობს სერიოზული მზადება, გუნდმა გამართა რამდენიმე ამხანაგური მატჩი, მონაწილეობდა ჰონკონგის საერთაშორისო ტურნირში, ხოლო 10 მაისიდან დაგეგმილია საბოლოო შეკრება. ამ მომენტისთვის უცხოეთში მოთამაშე ყველა ლეგიონერი უკვე ადგილზე იქნება.

მეკარე ლუნგის ნაცვლად, რომელმაც თავი გამოიჩინა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში, ამჟამად თამაშობენ სტელია და პრუნეა. გუნდის ხელმძღვანელობა ერთსაც და მეორესაც სავსებით საიმედო მეკარეებად მიიჩნევს.

დაცვაში პეტრესკუსთან ერთად ხშირად თამაშობს ბელოდედიჩი (ეროვნებით სერბი), რომელზეც პრეტენზიას ერთხანს იუგოსლავიის ნაკრებიც აცხადებდა. ამ რგოლში ზოგი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია და მწვრთნელები აპირებენ რამდენიმე კანდიდატს შორის არჩევანის გაკეთებას.

შუა რგოლი და თავდასხმა არაერთი ცნობილი ოსტატით არის

დაკომპლექტებული. აქ უნდა დავასახელოთ ლეკეტუში, რომელმაც, როგორც გულშემატკივრებს ახსოვთ, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ორი გოლი გაიტანა საბჭოთა ნაკრების კარში. იგი კარგა ხანს დაშავებული იყო, მაგრამ ახლა კვლავ სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. დიდი პოპულარობით სარგებლობს ჰაჯი, რუმინელი გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელი, რომელიც შესანიშნავად წარმართავს თამაშს. მას მხარში უდგანან შეუპოვარი ნახევარმცველები, წინა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები პოპესკუ და საბეუ, რომლებიც მინდორზე შავ სამუშაოსაც ასრულებენ და შეტევებშიც ერთვიან. წინა ხაზზე თამაშის პრეტენდენტებს შორის უნდა აღინიშნოს ამჟამად „მილანის“ ფეხბურთელი რადუჩოუ (ერთ-ერთი ამ გუნდის 7 ლეგიონერს შორის). რა თქმა უნდა, „მილანში“ თამაში დიდად საამაყოა, მაგრამ რადუჩოუს ხშირად როდი უხდება მინდორზე გამოსვლა. ეს ერთის მხრივ შეიძლება კარგიც იყოს, 24 წლის თავდამსხმელი ივნისისთვის სხვებზე მეტ ენერგიას შემოინახავს. იგი, როგორც გახსოვთ, მსოფლიოს წინა ჩემპიონატშიც თამაშობდა, ისევე, როგორც ახლანდელი ორი კანდიდატი ტიმოფტი და დუმიტრესკუ.

შეიძლება ვთქვათ, რომ რუმინეთის ნაკრები საკმაოდ გამოცდილი, უმაღლეს დონეზე თამაშევი ოსტატებისგან შედგება საკუთარი სტილითა და კონცეფციით.

რა ამოცანას ისახავენ იორდანესკუ და მისი თანაშემწეები? მათ მიაჩნიათ, რომ გუნდმა უნდა გადალახოს პირველი ეტაპის დაბრკოლება და მერვედფინალში მოხვდეს. საამისოდ მას ყოველგვარი რეალური საშუალება აქვს.

ბიბი ბამრეკელი

„ოდიშს“ ღირსეული ცვლა ეზრდება

ამას წინათ რედაქციაში ზუგდიდის საფეხბურთო კლუბის „ოდიშის“ ტექნიკური დირექტორი ჯემალ გოგია გვესტუმრა. კლუბთან არსებულ ბავშვთა გუნდს წამოჰყოლია თბილისში და გვთხოვა: „ლოკომოტივის“ ბაზაზე პატარა ოდიშელები თამაშობენ, ნახეთ, რა ცვლა გეზრდებაო!

მართლაც, ვისიამოვნეთ იმ დღეს, 14-15 წლის ზუგდიდელებმა მიხეილ მესხის თასის მეორე მერვედფინალურ მატჩში თბილისის „მაისთან“ შესაშური მონდომება და ოსტატობა გამოავლინეს, საპატიო ფრეს მიაღწიეს (1-1) და ორი თამაშის ჯამში (პირველი შინ მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 4-3) მეოთხედფინალში გავიდნენ. გუნდში რამდენიმე ნიჭიერი ბავშვი თამაშობს. მათ შორის გამოვყოფთ 1979 წელს დაბადებულ ცენტრალურ თავდამსხმელს კობა წიტაიშვილს, იგი საქართველოს ნაკრებშიც მიიწვიეს ოსათამაშოდ. პერსპექტიულ მოთამაშეებად გვესახებიან, აგრეთვე, დ. გაბისონია, ზ. გვიჩია. მათს დოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვით გუნდის მთავარ მწვრთნელს გ. კალანდიას, მწვრთნელ თ. როგავას.

ზუგდიდის გუნდის მესვეურებმა გვთხოვეს მკითხველებისთვის გაგვეცნო ბავშვთა კლუბის პრეზიდენტი მურმან გუჩუა. ის ამჟამად სამეგრელოს რეგიონის მაშველთა კორპუსის უფროსის მოადგილეა და ამავე დროს ზუგდიდის მაშველთა რაზმის უფროსი. სწორედ მისი სპონსორული დახმარებით ცოცხლობს დღეს ზუგდიდში ბავშვთა ფეხბურთი. ამიტომაც დიდი მადლობა მას.



ჯემალ ჭეიშვილი

სურათზე: მ. გუჩუა.

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

1990 წელი. იტალია

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ევროპაში მოეწყო. იტალიამაც მექსიკის მსგავსად, მეორედ მიიღო მსოფლიო ჩემპიონატი და ღირსეულად უმასპინძლა ოდეც მას. შესარჩევ ციკლში მონაწილეობდა 106 გუნდი, გაიმართა 312 მატჩი, გავიდა 732 გოლი. ფინალური სტადიის წილისყრა მოხდა რომის „პალაცო დელო სპორტში“. გათამაშების სისტემა უცვლელი დარჩა, მატჩები გაიმართა 12 ქალაქში, სულ 52 შეხვედრაში გავიდა 115 გოლი (საშუალოდ 2,21), რაც მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მატჩებს დაესწრო 2.515.168 მაყურებელი (საშუალოდ 48.369).

ჩემპიონატი სენსაციით დაიწყო: 8 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონები — არგენტინელები მარადონას მეთაურობით დამარცხდნენ კამერუნის ნაკრებთან 0-1, თუმცა კაპიტნის დიდოსტატობამ ისინი ფინალამდე მაინც მიიყვანა. მერვედფინალში მათ ბრაზილიელებს სძლიეს 1-0, მეოთხედფინალში იუგოსლავიას გადაუღობეს გზა დამატებითი 11-მეტრიანების წყალობით, ნახევარფინალში არგენტინელები კიდევ ერთი სენსაციის ავტორები გახდნენ და, ისევ პენალტებით, ამჯერად მასპინძლები გაწბილეს. იტალიელებმა ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობა მეოთხედ მოეპოვებინათ ჩემპიონის ტიტული. მათი მეკარე ვალტერ ძენგა ამ მატჩამდე 516 წუთის განმავლობაში იგერიებდა მეტოქეთა შეტევებს, მაგრამ კანიჯიას თავური დარტყმა კი გაუშვა. მეორე ნახევარფინალში გფრ-ისა და ინგლისის გუნდების ბრძოლაში კვლავ საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტებით გამარჯვებულის გარკვევა. ძირითადი



დრო 1-1 დასრულდა, 11-მეტრიანებით იმარჯვა გფრ-მ — 5-4.

ბრინჯაოს მედლებისთვის მატჩში იტალიელებმა მოუგეს ინგლისს გუნდს 2-1 და მესამე ადგილი დაიკავეს.

ფინალი: გფრ—არგენტინა 1-0 (0-0). 8 ივლისი. რომი. ოლიმპიური სტადიონი. 74.000 მაყურებელი. მსაჯი ჯ. მენდესი (მექსიკა).

გფრ: ილგნერი, ბრემე, კოლერი, აუგენტალერი, ბუხვალდი, ბერტოლდი (როიტერი), მათეუსი, პოსლერი, ლიტბარსკი, ფიოლერი, კლინსმანი.

არგენტინა: გოიკოეჩეა, რუჯერი, (მენსონი), სიმონი, სერისოლა, ბასუალდო, ბურუჩაგა (კალდერონი), მარადონა, ტროგლიო, სენსინი, დისოტი, ლორენსი.

გოლი: ბრემე (85 წთ. 11-მეტრიანი).

გააფრთხილეს: დისოტი, მარადონა, ტროგლიო, ფიოლერი; გააძევეს მენსონი, დისოტი.

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს იტალიელი სალვატორე სკილაჩი, რომელიც ბომბარდირიც გახდა — 7 მატჩი, 6 გოლი.

ჩემპიონთა მწვრთნელი გახლდათ შესანიშნავი გერმანელი ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი. იგი მსოფლიო ჩემპიონი იყო როგორც მოთამაშე 1974 წელს და როგორც მწვრთნელი — 1990 წელს. მასზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს მხოლოდ მარიო ზაგალოს (ბრაზილია): იგი ორგზის ჩემპიონია როგორც ფეხბურთელი 1958, 1962 წ. წ. და როგორც მწვრთნელი — 1970 წელს. ჩემპიონთა კაპიტანი იყო ლოტარ მათეუსი.

ჩემპიონატზე ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელები იყვნენ 38 წლის როჟე მილა (კამერუნი) და ინგლისელი მეკარე პიტერ შილტონი (41 წლის). მან ნაკრების შემადგენლობაში 125 მატჩი ითამაშა, მსოფლიო ჩემპიონატებზე კი 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. გერმანელები ბრაზილიისა და იტალიის გუნდების მსგავსად სამგზის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ჩემპიონობისთვის სამხრეთ ამერიკის და ევროპის დავაში ჯერჯერობით ფრეა — 7-7.

ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები: გოიკოეჩეა (არგენტინა), ბარეზი (იტალია), ფერი (იტალია), ბრემე (გფრ), სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჯანინი (იტალია), ვალდერამა (კოლუმბია), მათეუსი (გფრ), მილა (კამერუნი), კლინსმანი (გფრ), სკილაჩი (იტალია).

სულ მსოფლიოს განვლილ 14 ჩემპიონატში ფინალურ სტადიაში 464 შეხვედრაში გატანილია 1443 გოლი.

მ. საბახტარიშვილი

დასასრული, დასაწ. იხ. „ლელო“ № 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12.

საერთაშორისო ოსტატი—ფინიშამდე

ხამი მოჭადრაკე, რომელიც საუკეთესო ადგილს დაიკავებს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა), მსოფლიო პირველობის შესარჩევ ზონალურ ტურნირში იასპარეზებს, ხოლო საქართველოს ჩემპიონს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატობის შანსი ეძლევა. ჩემპიონატზე შეიძლება საერთაშორისო ოსტატის ნორმის შესრულება (15 შესაძლებლიდან 10 ქულა), რომელიც 12 ტურის შედეგებით უკვე გაინაღდა ლიდერმა ნათია ჯანჯღავამ (თბილისი)—10 ქულა, მირანდა ხორავას 9,5, ნატო ეძგვერაძეს — 9 ქულა აქვს. დარჩენილია 3 ტური, რომელიც საბოლოოდ გამოარკვევს გამარჯვებულს და პრიზიორებს.

ხათუნა აფაქიძე

მხიოლოდ ტექნიკური შედეგები

14-16 აპრილი. დიღმის სპორტული დარბაზი. საქართველოს პირადი პირველობა ხამბოში 1976-77 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდა 126 სპორტსმენი.

48 კგ. 1. მ. მაზმიშვილი (გორი), 2. ბ. ნანიაშვილი (დუშეთი), 3. შ. ჯელაძე და ვ. მეყანწიშვილი (ორივე — თბილისი), **52:** 1. ი. რობაქიძე (თბილისი), 2. დ. ღუღუნიშვილი (რუსთავი), 3. კ. კიპაროიძე (ხაშური) და გ. პაპუაშვილი (საგარეჯო). **56:** 1. ზ.ბეჟანიშვილი (თბილისი), 2. შ. შარუმაიძე (დედოფლისწყარო), 3. დ. ბარათაშვილი (ხაშური) და კ. რობაქიძე (თბილისი), **60:** 1. ა. ჩიმჩიური, 2. გ. აკობია (ორივე — თბილისი), 3. დ. ტატანაშვილი (გორი) და რ. მამულაშვილი (ხაშური), **65:** 1. ე. როინიაშვილი (საგარეჯო), 2. კ. ჭალისური (თბილისი), 3. ნ. რუსიტაშვილი (კასპი) და ი. ქოთოლაშვილი (ქარელი). **70:** 1. გ. ბერაძე, 2. ბ. კოტორაშვილი, 3. ლ. ბეგოიძე (სამივე — თბილისი) და ა. სოზიაშვილი (გარდაბანი). **75:** 1. გ. ჭაბუკაშვილი (გორი), 2. ნ. შერაზადიშვილი (ხაშური), 3. ო. მეტრეველი (რუსთავი) და ო. რეზვიაშვილი (გარდაბანი). **81:** 1. გ. კენკებაშვილი, 2. დ. ამირანაშვილი (ორივე — თბილისი). **მძიმე.** 1. გ. ჩუბინიძე (თბილისი), 2. ბ. ბასილაშვილი (რუსთავი), 3. ა. ტალახაძე (ხაშური) და დ. გულიაშვილი (თბილისი).

შენიშვნა: 87 კგ წონით კატეგორიაში მონაწილენი არ იყვნენ. ეს შეჯიბრება შესარჩევი ეტაპი იყო ევროპის პირველობის წინ (1—3 ივლისი, ვილნიუსი).

ნაიდორფის საშინაო „მუზეუმი“

84 წლის მიგელ ნაიდორფის ბინა ბუენოს-აირესში ნამდვილი საჭადრაკო მუზეუმი გახლავთ. აქ საპატიო ადგილი უჭირავს ვეება თასს, რომელიც მსაძინძელმა 1962 წელს ჰავანაში მიიღო. „პაბლანკას მემორიალში პირველი ადგილის დაკავებისთვის, ერთმანეთის გვერდით გამოფენილია არაერთი სხვა ძვირფასი ჯილდო, თასები, ანტიკვარული ნივთები...

ნაიდორფი, როგორც ცნობილია, წარმოშობით პოლონელი ებრაელია. მას ებრაულად მენდელი ჰქვია, პოლონურად — მეჩისლავი, ალრე ევროპაში მიხაილსაც ეძახდნენ, არგენტინაში დასახლების შემდეგ კი მიგელი დაირქვა. არგენტინაში იგი 1939 წლის აგვისტოს ბოლოს ჩავიდა პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის, სულ რამდენიმე დღეში ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ებრაელებს განსაკუთრებით მძიმე ხვედრი ხვდათ, გაზის კამერებში დაიღუპნენ ნაიდორფის მშობლები, პირველი ცოლი, სამი წლის გოგონა, ოთხი ძმა, ახლო თუ შორეული ნათესავები. სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

ვინ მოთვლის, ამის შემდეგ რამდენ ტურნირში ითამაშა არგენტინაში ნაიდორფმა. 70 წლისამ თითქოს მიატოვა ჭადრაკი, მაგრამ მერე, 80 წლისაც მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში. „ჩემი ხნის მოჭადრაკე პირველად მონაწილეობს ასეთი დონის შეჯიბრებებში. მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ სპორტი ძალიან მიყვარს, გარდა ამისა, ასეთი რამ გარკვეულ ფიქრსა და განსჯასაც მოითხოვს. განა საინტერესო არ არის იმის დადგენა, ბოლოს და ბოლოს, რა ასაკამდე შეუძლია კაცს სერიოზულ შეჯიბრებებში თამაში? დროთა განმავლობაში ასაკობრივი ზღვრები იცვლება. გაზეთებში ზოგჯერ წაიკითხავთ: „ბებერმა კონორსმა დაამარცხა ესა და ეს ჩოგბურთელი“. თუ 39 წლის კონორსი ბებერია, მაშინ მე რაღა მეთქმის?“

ნაიდორფის აზრით არგენტინულმა ჭადრაკმა დიდი ნაბიჯები გადადგა წინ, მაგრამ მსოფლიო ჭადრაკის ლიდერებს მაინც საგრძნობლად ჩამორჩება. ბუენოს-აირესში ცხოვრობს განთქმული დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენიც, რომელმაც არგენტინელი ქალი შეირთო. სამწუხაროდ, მას ძალიან იშვიათად იწვევენ ევროპაში, სატრანსპორტო ხარჯებიც მეტად დიდია. ერთი საქმეა კოპენჰაგენიდან ჰოლანდიამდე მატარებლით იმოგზაურო და მეორე — ოკეანეს გადაუფრინო.

ბივი გამრეკელი

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ



ჭაბუკობისას მეცადინეობდა კრივის სექციაში მწვრთნელ ა. ჯავახიშვილთან, ამიტომაც „ბოქსიორას“ ეძახდნენ. იბრძოდა საქართველოს მთლიანობისთვის აფხაზეთში. მისმა ახლობლებმა არაფერი ვიცით მის შესახებ და თუ ვინმემ რამე იცის გომბორის ათასეულის მებრძოლის ბადრი ლევანის ძე ალავიძის ადგილსამყოფელის შესახებ, გთხოვთ დაგვირეკოთ ტელეფონით შემდეგ ნომრებზე: 74-39-50; 74-43-80.

რა ხდება ქვეყანაზე

ლინარესის საჭადრაკო ტურნირის უცვლელი ტექნიკური დირექტორი და მთავარი ორგანიზატორი ლუის რენტერო სუარესი ყაიმების მტერია და მოჭადრაკეებს მატერიალური ანაზღაურების ფასად (რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე ათას დოლარს შეადგენს) აიძულებს არ შეუთანხმდნენ ერთმანეთს ყაიმზე 40 სვლაზე უფრო ადრე. ეს დრაკონული წესი ზოგჯერ უხერხული სიტუაციებისა და სკანდალების მიზეზი ხდება. მაგრამ სუარესი შეურიგებელია პირობის დამრღვევთა მიმართ: იგი ან ართმევს მოჭადრაკეს ჰონორარს, ან საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას ახდევინებს.

უბერებელმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯონ მაკინროუმ, ამას წინათ, კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ მზადაა ემსახუროს თავის საყვარელ სპორტს ნებისმიერ ამპლუაში: როგორც მოთამაშე, როგორც მწვრთნელი, როგორც ტელეკომენტატორი. მას გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში თუ, რა თქმა უნდა, ორგანიზატორები მიიპატიჟებენ. მანამდე კი მაკინროუმ მოძებნა მასავით „ტირაჟიდან გასული“ ვარსკვლავი ბორის ბეკერი და შექმნა წყვილი, რომელიც, მიმმხილველთა შეფასებით შესაძლებელია მსოფლიოში უძლიერესიც გახდეს.

როგორც სტატისტიკოსები იუწყებიან, სამთო-ჭოთხილამურო სპორტის ოლიმპიურ ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი ნორვეგიელი ჩეტილ-ანდრე ომოდტია, რომელსაც ხუთი სხვადასხვა ღირსების მედალი აქვს მიღებული. ორი წლის წინათ ალბერვილში მან „ოქრო“ დაისაკუთრა სუპერგიგანტურ სლალომში და „ბრინჯაო“ — გიგანტურში. წლეულს, ლილეჰამერში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვერ ავიდა, სამაგიეროდ, ორჯერ მეორე იყო (კომბინაციაში და სწრაფდაშვებაში) და ერთხელაც — მესამე (სუპერგიგანტში).

რა ხდება ქვეყანაზე

მიხეილ აბაშიძე

20 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა მიხეილ აბაშიძე, ხამბისტთა ოჯახმა დაკარგა დიდი მონაცემების მქონე ახალგაზრდა, რომელმაც ახაკის მიუხედავად ზოგი რამ სახახელო მაინც მოასწრო, თუმცა ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. ნაადრევად შეწყდა სიცოცხლე და ეს არის ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ოჯახისთვის, ნაცნობ-მეგობრებისთვის, სპორტული სამყაროსთვის.

1974 წლის 20 მაისს დაბადებულმა მიხეილმა ჩვეულებრივი თბილისელი ყმაწვილის ცხოვრებით იცხოვრა; ოღონდ ეს კია, წარმატებებით იმოავითვე განებივრებული იყო. 1991 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. ერთი წლის შემდეგ ევროპის ჭაბუკ ხამბისტთა ფორუმზე ბრინჯაოს ჯილდო დაიმახსოვრა. 1993 წელს 19 წლის ყმაწვილი ევროპის ჩემპიონატზე იბრძვის ერთბაშად ორ ასაკობრივ ჯგუფში: ახალგაზრდებში და მოზრდილებში, ორივეგან მეხამე პრიზიორი ხდება, მანამდე კი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონიც იყო, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ახალგაზრდულ ტურნირებში და ყველგან წარმატებით გამოდიოდა, არაჩვეულებრივი იყო საქართველოს ჩემპიონი ხამბოში, ძიუდოში.

20 წელი მცირე დროა იმისთვის, რომ თავი დაამახსოვრო ხალხს. მიხეილ აბაშიძემ თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ შეძლო და მოახერხა, რომ არაფერი ვთქვათ ხპორტულ წარმატებებზე, მან აფხაზეთის ომიც განვლო და იქაც ვაჟკაცის სახელი დატოვა.

ძნელია ერთბაშად შეეგუო აზრს, რომ ჩვენს შორის, ჩვენს გვერდით ალარ არის ახალგაზრდა, რომელსაც აგრერიგად უყვარდა ცხოვრება და ბევრი ნატვრა აუხდენელი დარჩა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი

საქართველოს ხამბოს ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ხპორტისა და ტურიზმის კომისია იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის ხპორტკომიტეტის უოფილი თავმჯდომარე, მოხახლეობის გაჯანსაღებისა და ხპორტის მხარდამჭერთა ფონდის „ჯანი-93“-ის ვიცე-პრეზიდენტი

ნუგზარ ენდელაძე

და ხამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა სინანულს გამოთქვამენ

ნუგზარ ენდელაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს განათლების სამინისტრო და ხპორტსაზოგადოება „მართვე“ მწუხარებით იუწყებიან საქართველოს ხპორტკომიტეტის უოფილი თავმჯდომარის, „ჯანი-93“-ის ვიცე-პრეზიდენტის

ნუგზარ ენდელაძის

გარდაცვალებას და ხამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რაგბის კავშირი და ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მორაგბე, საქართველოს რაგბის კავშირის უოფილი პრეზიდენტი

ნუგზარ ენდელაძე

და ხამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორატი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ ენდელაძე

და ხამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების წევრი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის

მიშიკო აბაშიძე

და ხამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის ხპორტის ხამმართველო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ნუგზარ ენდელაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ხპორტკომიტეტის უოფილი თავმჯდომარე

ნუგზარ ენდელაძე

და ხამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჭემალ გუნია, დემურ ხიხარულიძე, გიორგი ჭუმბურიძე, სულიკო რამინიშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ნუგზარ ენდელაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის ხპორტკომიტეტის უოფილი თავმჯდომარე, ამავე საზოგადოების წევრი

ნუგზარ ენდელაძე

და ხამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფეხბურთის ამბები

ახლოვდება მოფლიოს XV ჩემპიონატის ფინალური ეტაპის სტარტი, ამასთან დაკავშირებით ამ გადამწყვეტი შეჯიბრების მონაწილეები საგანგებო მონდომებით და ინტენსიობით ემზადებიან მომავალი უძმიმესი ბრძოლებისთვის.

ამ დღეებში გაიმართა რამდენიმე საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები, ასევე მათი სპარინგ პარტნიორებიც.

უელსი—შვეიცია 0-2
აშშ—მოლდოვა 3-0
„პარი სენ-ჟერმ.“ (საფრ.)—ბრაზილია 0-0
ნორვეგია—პორტუგალია 0-0
მაროკო—არგენტინა 1-3
შვეიცარია—ჩეხეთი 3-0
ჰოლანდია—ირლანდია 0-1
რუმინეთი—ბოლივია 3-0
თურქეთი—რუსეთი 0-1

დაიწყო ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ბელფასტში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და ლიხტენშტაინის გუნდები. ჩრდილოეთირლანდიელებმა საკმაოდ იოლად მოიგეს თამაში — 4-1.

ევროპაში გაიმართა კიდევ რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: დანია—უნგრეთი 3-1, ავსტრია—შოტლანდია 1-2, სლოვაკეთი — ხორვატია 4-1, ლიტვა—ისრაელი 1-1.

დამთავრდა ევროპის ახალგაზრდული გუნდების (21 წლამდე) ჩემპიონატი, ფინალში (ქ. მონპელიე) ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და პორტუგალიის გუნდები. დამატებით დროში გაიმარჯვეს იტალიელებმა — 1-0. აღსანიშნავია, რომ ახალი წესების შესაბამისად დამატებით დროში თამაში შეწყდა მაშინვე, როგორც კი იტალიელებმა ბურთი გაიტანეს.

ესპანეთის თასს დაეუფლა ქ. სარაგოსას „რეალი“. ფინალური შეხვედრის 120 წუთი „სარაგოსასა“ და „სელტას“ შორის უშედეგოდ დამთავრდა 0-0, დამატებითი 11-მეტრიანების სერიით გაიმარჯვა „სარაგოსამ“ — 5-4.

იტალიაში თასის პრეტენდენტები იყვნენ გენუის „სამპდორია“ და „ანკონა“. მათ პირველ შეხვედრაში ბურთი არ გასულა, მეორე მატჩი კი „სამპდორიამ“ იოლად მოიგო — 6-1.

ინგლისის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ასტონ ვილა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“. გაიმარჯვა „ასტონ ვილამ“ — 3-1.

სპორტული ტელეეკრანი

საქართველო

1. მაისი. 19.00. ტაიმ-აუტი.

„ოსტანკინო“

29 აპრილი

10.35. ფეხბურთი. **1.00.** ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური.

30 აპრილი

21.45. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში.

1 მაისი

8.45. სპორტლოტო.
11.45. სპორტული ტანვარჯიში.
22.45. სპორტული უიქენდი.

„როსია“

29 აპრილი

23.35. სპორტული კარუსელი.

30 აპრილი

14.20. დიდი ჰოკეი.
17.20. ფეხბურთი უსაზღვრებოდ.
22.45. სპორტული კარუსელი.

1 მაისი

15.50. მსოფლიო ჩემპიონატი ავტორბოლაში.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380016, ს. ჯიბლაძის 14. ● ტელეფონი 99-56-14 ინდექსი 66485 INDEX დაბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“.